მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირების რეგიონული თავისებურებები საქართველოში

ნათია კურდღელია
ეკონომიკის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის
მიწვეული ლექტორი, natiakurdgelia1976@gmail.com

საკვანძო სიტყვები: მშპ; რეგიონი; უთანაბრობა; ეკონომიკური აქტივობა;

J.E.L. Classification: R10; E01 DOI: https://doi.org/10.52244/ep.2025.29.02

ციტირებისთვის: კურდღელია ნ., (2025) მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირების რეგიონული თავისებურებები საქართველოში. ეკონომიკური პროფილი, ტ. 20, 1(29), გვ. 21-31. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2025.29.02

ანოტაცია. *დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის გატარება სხვადასხვა მასშტაბებით და ინსტრუმენტების გამოყენებით ხდებოდა. თუმცა, პირველ ათწლეულში ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების გამო ეს ძალისხმევა მინიმალური იყო. ნაშრომში დეტალურად არის განხილული მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირების სპეციფიკა და რეგიონული თავისებურებები საქართველოში, გაანალიზებულია რეგიონების წვლილი მშპ-ს წარმოქმნაში, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით რეგიონების დიფერენციაცია, რეგიონების ასიმეტრიული განვითარებით გამოწვეული სირთულეები.*

შესავალი

რეგიონების განვითარება სახელმწიფოს რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი ვექტორია. ყოველთვის მნიშვნელოვანია ქვეყნის კონკრეტულ რეგიონში ეკონომიკური აქტივობის სტიმულირებისათვის გატარებული პოლიტიკა. როგორც წესი, რეგიონული პოლიტიკის ობიექტი ეკონომიკურად ჩამორჩენილია, ვიდრე მისი მეზობელი ტერიტორიები.

საქართველოს რეგიონების და ტერიტორიული ერთეულების ეკონომიკურ განვითარებას ბოლო წლებში არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი მიეძღვნა (ღავთაძე, ჩიხლაძე, 2020; მესხია, გველესიანი, 2010; ჩიხლაძე, უგულავა, 2016; ჭიჭინაძე, 2015; ჩიხლაძე, 2021; უგულავა, 2023; ელიზბარაშვილი, 2024 და სხვა), რასაც პრობლემის აქტუალობა განაპირობებს.

დასახელებულ ნაშრომებში ავტორთა მიერ ყოველთვის ხდება აპელირება რეგიონების განვითარების უთანაბრობაზე, რეგიონების მხარდაჭერაზე, უთანაბრობის შერბილების პოლიტიკის აუცილებლობაზე. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ პრობლემური რეგიონების (დეპრესიული ტერიტორიები, ახლად ასათვისებელი რაიონები, სუსტად განვითარებული, საზღვრისპირა ტერიტორიები, ეკოლოგიური უბედურების რაიონები და ა.შ.) მიმართ ტარდება სელექციური სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკა, რისთვისაც შეირჩევა რეგიონული პოლიტიკის შესაბამისი ინსტრუმენტების ნუსხა.

ძირითადი ნაწილი

პოსტსაბჭოთა ეკონომიკაში მრეწველობის წილის შემცირება არა მაღალი ხარისხის ინოვაციური სერვისების ზრდით, არამედ სამრეწველო წარმოების მყისიერი შემცირებით იყო განპირობებული. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოხდა ეკონომიკის ფართომასშტაბიანი დეინდუსტრიალიზაცია, რის შედეგადაც მრავალი სექტორი და სამრეწველო საწარმო გაქრა. ეს უკავშირდება „ნეკროეკონომიკის“ ფენომენს, რომელიც აერთიანებს ეგრეთ წოდებულ მკვდარ საწარმოებს და მბრძანებლურ ეკონომიკაში კონკურენციის უარყოფის შედეგია. (Papava, 2015)

სამწუხაროდ, დასახელებული ნეგატიური მოვლენები არსებითად შეეხო რეგიონებს და და მათში დეპრესიული ფონი შექმნა. ამ მხრივ, არც საქართველოს რეგიონები აღმოჩნდა გამონაკლისი.

საყურადღებოა ბოლო პერიოდში რეგიონული განვითარების ერთიანი პოლიტიკის განსაზღვრაში „უთანაბრობის დაძლევის“ პოლიტიკის პრევალირება. ამ პოლიტიკის ფარგლებში პრიორიტეტულია ღარიბი და ჩამორჩენილი ერთეულების მხარდაჭერის ღონისძიებები და არა განვითარების სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის ღონისძიებების გატარება. სწორი სტიმულების არ ქონის პირობებში, ზოგიერთი ერთეულის განვითარების ფორსირების ფონზე, სხვა ერთეულების ჭარბი დეინდუსტრიალიზაცია და დეპრესია გამოიწვია, რამაც კიდევ უფრო გააღრმავა დისპროპორციები მათ შორის (ჩიხლაძე და უგულავა, 2016:125)

საქართველოს რეგიონთა ეკონომიკური განვითთარების უთანაბრობის კვლევამ 2010-2019 წლებისათვის დაადასტურა არსებული დიდი დისპროპორციები რეგიონთა ეკონომიკურ განვითარებაში. აღმოჩნდა, რომ უთანაბრობის დონე ზოგადად არ გაუარესებულა, თუმცა ის არც შემცირებულა ამ პერიოდში. ზოგადი ეკონომიკური ზრდის პირობებში სუბიექტების საკუთარი ზრდის მაჩვენებლები დიფერენცირებული იყო, რამაც მათი ერთგვარი გადაჯგუფება გამოიწვია. (უგულავა, 2023).

საქართველოს რეგიონებს განსხვავებული წვლილი შეაქვთ ქვეყნის მშპ-ის ფორმირებაში, რასაც განაპირობებს განსხვავებული რესურსები, ბუნებრივ-კლიმატური პირობები, ეკონომიკური აქტივობის დონე, მოსახლეობის სხვადასხვა რიცხოვნობა და ა.შ.

კვლავ მნიშვნელოვანია დედაქალაქის ფაქტორი. ანალიზმა გვიჩვენა, რომ ბოლო წლებში მშპ-ის ნახევარზე მეტი ყოველთვის თბილისში იქმნებიოდა. 2023 წელს მან 72,7% შეადგინა, თუმცა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2010 წლიდან დაფიქსირდა 2011 წელს - 53,3%, ყველაზე დაბალი კი 2021 წელს - 49,8% (იხ.ნახ.1).

ნახაზი 1

თბილისის ხვ.წილის დინამიკა საქართველოს მშპ-ის ფორმირებაში 2010-2023 წლებში (%)



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მასალების მიხედვით

რეგიონების დეპოპულაციის შედეგად დედაქალაქში კონცენტრირებული მოსახლეობის რაოდენობა იწვევს ნაკლებად კვალიფიციური სამუშაო ძალის ჭარბ მიწოდებას, ხელფასების შემცირებას და უმუშევრობის საერთო დონის ზრდას. ამავდროულად მოსახლეობისგან დაცარიელებულ რეგიონებში ეკონომიკური აქტივობა ქრება, რაც საბოლოო ჯამში ქვეყნის ეკონომიკის უკუსვლას იწვევს (ელიზბარაშვილი, 2024).

მშპ-ის ფორმირებაში გამორჩეულია აჭარის ა/რ (ხვ.წილი 9,5%), იმერეთი (7,8%) და ქვემო ქართლი (7,5%). დანარჩენი 7 რეგიონის ჯამური ხვედრითი წილი 22,4%-ს შეადგენს (იხ.ნახ.2).

ნახაზი 2

დედაქალაქის და რეგიონების ხვედრითი წილი მშპ-ს ფორმირებაში (2023 წელი,%)



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მასალების მიხედვით

საინტერესო შედეგებს გვაძლევს დედაქალაქის გარეშე რეგიონების მიხედვით ჩატარებული ანალიზი. აღნიშნულის მიხედვით, 2023 წელს საქართველოს 5 რეგიონში (აჭარა, იმერეთი, კახეთი, ქვემო ქართლი, სამეგრელო-ზემო სვანეთი) შეიქმნა ქვეყნის მშპ-ის 75% და დანარჩენ 5 რეგიონში 25% (იხ. ნახ. 3).

ზემოთ მოტანილი ანალიზი კიდევ ერთხელ მიუთითებს რეგიონების დისპროპორციულ და ასიმეტრიულ განვითარებაზე.

ნახაზი 3

რეგიონების ხვედრითი წილი მშპ-ს ფორმირებაში (2023 წელი, %)



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მასალების მიხედვით

მნიშვნელოვანია ასევე რეგიონების მიხედვით ჩატარებული ანალიზის შედეგები მშპ-ის მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით. დიფერენცირება რეგიონებს შორის მნიშვნელოვნად არის შერბილებული (იხ.ნახ.4). კერძოდ, როგორც მოსალოდნელი იყო, თბილისის მაჩვენებელი ყველაზე მაღალია და 29,8 ათას ლარს შეადგენს, რაც 2,6-ჯერ აღემატება მინიმალურ მაჩვენებელს (შიდა ქართლი). ამასთან, საქართველოს 5 რეგიონში (ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია) მოსახლეობის ერთ სულზე თითქმის ერთნაირი მშპ დაფიქსირდა (11,4-11,9 ათასი ლარი). დაბალი მოსახლეობის მქონე რეგიონებში მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის შედარებით მაღალი მაჩვენებლები ფიქსირდება (მაგალითად, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი - 15,4 ათასი ლარი და მცხეთა მთიანეთი - 20,5 ათასი ლარი).

ნახაზი 4

საქართველოს რეგიონების მშპ მოსახლეობის ერთ სულზე საბაზისო ფასებში (ათასი ლარი)



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მასალების მიხედვით

რეგიონულ ჭრილში შექმნილი დამატებული ღირებულების ხვედრითი წილის განხილვამ გვიჩვენა, რომ დამატებული ღირებულების ფორმირება ძირითადად რეგიონების ადმინისტრაციულ ცენტრებში - თვითმმართველ ქალაქებსა და მსხვილ მუნიციპალიტეტებში ხდება.

ნახაზი 5

საქართველოს რეგიონების ადმინისტრაციულ ცენტრებში ფორმირებული დღ-ის ხვედრითი წილი რეგიონში შექმნილ დღ-თან (%, 2023)



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მასალების მიხედვით

ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ 2023 წლის შედეგებით, ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი რეგიონში ბათუმში ფიქსირდება (86,7%), რაც ბოლო ათწლეულში ქალაქის გაფართოებას, აქ მიმდინარე მსხვილმასშტაბურ პროექტებს, ინვესტიციებს და მოსახლეობის მნიშვნელოვან ზრდას უკავ-

შირდება. სხვა თვითმმართველ ქალაქებში (ქუთაისი, რუსთავი, ფოთი) იგი შედარებით დაბალია - ქუთაისისათვის 52,9%, რუსთავისათვის - 47,8%, ხოლო ფოთისათვის - 56,3%. ამ მხრივ სპეციფიურია სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე, რომლის ადმინისტრაციულ ცენტრში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) დღ-ის მხოლოდ 15,5% იქმნება. ამ რეგიონისათვის აღნიშნულს ფოთის პორტის არსებობა განაპირობებს, სადაც მაღალია ეკონომიკური აქტივობა.

იმერეთის მხარეში ქუთაისის შედარებით დაბალი ხვედრითი წილი (53%) აიხსნება ზესტაფონის მუნიციპალიტეტში შექმნილი დამატებული ღირებულებით (რეგიონის 14%), რომელიც 2022 წელთან შედარებით მკვეთრად (3,2-ჯერ) შემცირდა.

რეგიონის დღ-ში დაბალი ხვედრითი წილით გამოირჩევა ასევე ახალციხის მუნიციპალიტეტიც (28,1%). დანარჩენ ადმინისტრაციულ ცენტრებში ხვედრითი წილი რეგიონში შექმნილ დღ-ში მაღალია და 37-87%-ის დიაპაზონშია.

დედაქალაქის საქმიან აქტივობაში ყველაზე მნიშცნელოვანია „საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი“ (24,6%). ხუთი რეგიონისთვის (გურია, იმერეთი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, შიდა ქართლი) წამყვანია „სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა“ (11,9%-34,5%).

ცხრილი 1

დედაქალაქის და რეგიონების ეკონომიკური საქმიანობის სახეები, რომლებსაც ყველაზე მეტი წვლილი შეაქვთ რეგიონის მშპ-ში (2023 წელი, ხვ.წილი, %)

რეგიონი	ყველაზე მნიშვნელოვანი საქმიანობის სახე	ხვ.წილი რეგიონის მშპ-ში, %
თბილისი	საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	24.6
აჭარის ა.რ.	მშენებლობა	14
გურია	სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	14.7
იმერეთი		11.9
კახეთი		34.5
სამცხე-ჯავახეთი		22.5
შიდა ქართლი		18.6
მცხეთა-მთიანეთი	დამამუშავებელი მრეწველობა	33.7
ქვემო ქართლი		18.9
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება	15.8
სამეგრელო-ზემო სვანეთი	ტრანსპორტი და დასაწყობება	18.2

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მასალების მიხედვით

აჭარის ა.რ.-ში მიმდინარე სამშენებლო ინვესტიციების მაღალი მოცულობის გათვალისწინებით წამყვანია მშენებლობა (14%). რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში დაბალი ეკონომიკური აქტივობა განაპირობებს სახელმწიფო მომსახურების საქმიანობის პრიორიტეტულობას (15,8%). სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის სპეციფიკამ (ფოთის პორტი) განსაზღვრა „ტრანსპორტი და დასაწყობების“ მაღალი ხვედრითი წილი (18,2%).

საქართველო, თავისი საბჭოთა წარსულითა და განვითარებადი ეკონომიკით, არათანაზომიერი ეკონომიკური განვითარების დიაპაზონში მოხვდა. დიდია დისბალანსი როგორც დედაქალაქისა და რეგიონების განვითარების დონეებს შორის, ასევე რეგიონების განვითარების დონეებს შორისაც. აღნიშნული დისბალანსის მინიმუმამდე დაყვანა მოკლევადიან პერიოდში შეუძლებელია. საჭიროა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში ძირეული რეფორმების გატარება, რომლებიც მიმართული იქნება დაბალგანვითარებულ რეგიონებში პარალიზებული ეკონომიკური აქტიურობის გამოცოცხლებაზე. (ელიზბარაშვილი, 2024)

დასკვნები

1. რეგიონების რესურსების არარაციონალურ-ასიმეტრიული გადანაწილება ქვეყნის დასუსტების უმთავრესი პირობაა, რაც ასახვას ჰპოვებს მათი განვითარების უთანაბრობებში და აქედან გამომდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებში;
2. რეგიონების ეკონომიკური განვითარების პრობლემათა დაძლევას ხელს შეუწყობს რეგიონების ერთობლივი ძალისხმევა შრომითი, საფინანსო და ბუნებრივი რესურსების ინტეგრირების კუთხით, განსაკუთრებით არაერთგვაროვანი განვითარებისა და ტერიტორიათა რესურსული უზრუნველყოფის დისპროპორციების პირობებში.
3. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის სტანდარტების, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ერთიანი მეთოდოლოგიის, ინსტრუმენტების, ეფექტურობის ინდიკატორების შემუშავება-დანერგვა, რაც მოითხოვს შესაბამისი საკანონმდებლო და სხვა სარეგულაციო-ნორმატიული ცვლილებების განხორციელებას;
4. აუცილებელია რეგიონული შესაძლებლობების რეგულარული ანალიზი, რომლის საფუძველზეც წარმოებული რანჟირება საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ საინვესტიციო მიმზიდველობა და გამოვკვეთოთ გამოწვევები;
5. აუცილებელია იმ ფაქტორთა გამოწვლილვით შესწავლა, რომლებიც ეკონომიკური განვითარების აქტივიზაციის და კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით, გასათვალისწინებელი იქნება ეკონომიკურმა სუბიექტებისა და რეგიონული მმართველობისათვის;

ლიტერატურა:

1. გველესიანი ე., მესხია ი., (2010) რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა. თბილისი.
2. ელიზბარაშვილი გ., (2024) საქართველოს თანაზომიერი განვითარების არსისა და მისი შეფასების ინდიკატორების შესახებ. საქართველოს ეკონომისტთა VI ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის: „მსოფლიო წესრიგის ტრანსფორმაცია და ეკონომიკური უსაფრთხოება: საქართველოს ძირითადი გამოწვევები და შესაძლებლობები“ შრომების კრებული. ქუთაისი, 2024. URL: https://cdn.atsu.edu.ge/files/docs2024/VI%20%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AE%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90%20%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%2C%20%E1%83%A5%E1%83%A3%E1%83%97%E1%83%90%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%20(%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%A1%E1%83%A3)%2C%202024%20(2).pdf (გადამოწმებულია: 30.04.2025)
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. „რეგიონული მთლიანი შიდა პროდუქტი - 2023 წელი“. URL:https://www.geostat.ge/ka/single-news/3349/regionuli-mtliani-shida-produkti-2023-tseli (გადამოწმებულია: 30.04.2025)
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. რეგიონული სტატისტიკა (მთლიანი შიდა პროდუქტი). URL:https://www.geostat.ge/ka/modules/categories/93/regionuli-statistika (გადამოწმებულია: 30.04.2025)
5. უგულავა გ., (2023) ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დაგეგმვა“. „ივერიონი,“ თბ., გვ.125.
6. ჩიხლაძე ნ., უგულავა გ., (2016) სტრატეგიული დაგეგმვის როლი ადგილობრივი ტერიტორიული განვითარებისათვის. ჟურნ. „ინოვაციური ეკონომიკა და მართვა“, №1. URL:http://nier.ge/images/statia_15_121-128.pdf (გადამოწმებულია: 30.04.2025)
7. ჭიჭინაძე დ. (2015) საქართველოს რეგიონული პოლიტიკა. წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, თბილისი.
8. European Commission. The EU's main investment policy URL:https://ec.europa.eu/regional_policy/en/policy/what/investment-policy/ (გადამოწმებულია: 30.04.2025)
9. Papava V., (2015) Necroeconomics of Post-Soviet Post-Industrialism and the Model of Economic Development of Georgia and Russia. Journal of Business and Economics, 6 (5): 976-983. online at https://10.15341/jbe(2155-7950)/05.06.2015/012 (გადამოწმებულია: 30.04.2025)